

ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის ანგარიში

ხობის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოსთვის მიკუთვნებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს.

მერიის მიერ გაწეული საქმიანობის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით, წარმოგიდგინთ როგორც სამსახურების მიერ წარმოებულ საქმიანობას, მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტისათვის, ასევე მათი საქმიანობის შედეგად მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიღწეულ შედეგებს.

ადგილობრივი საბიუჯეტო რესურსების მართვას ახორციელებს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშება-დასაბუთებას, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ, მიზანშეწონილ და ეფექტიან გამოყენებაზე წინასწარი და მიმდინარე კონტროლის დაწესებას, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების შესაბამისად ხარჯების გაწევას, შესაბამისი ფინანსური ოპერაციების განხორციელებას და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგებას.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №14 დადგენილებით დამტკიცდა მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი ყველა საჭირო დანართებით და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი წარდგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. საანგარიშო პერიოდში დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილ იქნა 5 ცვლილება.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური უზრუნველყოფს თვითმმართველ ერთეულში ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრას და განხორციელებას. ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი წესების შემუშავებას და განხორციელებას, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას. წინადადებების შემუშავებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვის, სატრანსპორტო რეგულირების, ადგილობრივი მოსაკრებლების, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე და სხვა ეკონომიკური აქტივობების შესახებ.

მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურსების ტრანსპორტის რეგულირებისა და ადგილობრივი მოსაკრებლის განყოფილების მიერ კონტროლზეა აყვანილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში არსებული ქონების მართვა, განყოფილების მიერ მერთან შეთანხმებით ხორციელდება სახელმწიფო და ადგილობრივი ქონების გამიჯვნა, რეგისტრაციისათვის საჭირო პროცედურების ჩატარება და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია.

აუქციონის ფორმით ხორციელდება მუნიციპალური ქონების გაიჯარება და პრივატიზება 2020 წლის 12 თვეში არასასოფლო სამეურნეო მიწის ქონების გადასახადი იურიდიული პირებიდან ბიუჯეტში შემოსულია 2.759545 ლარი ხოლო ფიზიკური პირებიდან 36200 ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი იურიდიული პირებიდან 224422 ლარი, ხოლო ფიზიკური პირებიდან 114000 ლარი, მუნიციპალური ქონების გაიჯარებიდან კი 11600 ლარი.

ასევე განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების ლიცენზირებისა და რესურსის რაციონალურად გამოყენების საკითხი. სამსახურის მიერ საჭიროების შემთხვევაში მზადდება შუამდგომლობები ლიცენზიებისაგან გამოსანთავისუფლებელი იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე.

ადგილობრივ ბიუჯეტში 12 თვის მდგომარეობით ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან მოსაკრებლის სახით შემოსულია 160 000 ლარი, ხოლო წიაღისეული რესურსის სარგებლობიდან 7800 ლარი.

განყოფილების მიერ კონტროლდება დასუფთავების მოსაკრებლების გეგმის შესრულება, 2020 წლის 12 თვის მდგომარეობით ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია 20 000 ლარი დასუფთავების მოსაკრებელი, მათ შორის იურიდიული პირებიდან 18400 ლარი, ფიზიკური პირებიდან 1600 ლარი.

მუნიციპალიტეტისთვის განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით მერიაში ეკონომიკური პროფილით მოქმედებს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სტატისტიკის აღრიცხვის განყოფილება, რომელიც ამ სფეროში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების ერთ-ერთ ხელშემწყობს წარმოადგენს. აღნიშნული განყოფილება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციისა და აგრარული რეფორმების განხორციელების ხელშემწყობას, აგროსასურსათო, აგროგადამამუშავებელი, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების, მემცენარეობის, მეცხოველეობის, მეთევზეობის, აგროსაინჟინრო და ვეტერინარიის დარგების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებას, სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული მეურნე სუბიექტებისა და დაინტერესებული პირების დახმარების გაწევას პრობლემების გადაწყვეტაში.

2019-2020 წლებში ა(ა)იპ „ ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ბაზაზე წარმატებით ფუნქციონირებს პროექტი: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების შესახებ, ეს პროგრამა შემუშავებულ იქნა უშუალოდ განყოფილების მიერ. აღნიშნული პროექტი ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე მსოფლიოში, როგორც ადგილობრივი ჯიშების პროდუქტიულობის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება.

ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისათვის საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება არის განყოფილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია. რადგანაც ადგილობრივი სტატისტიკური სამსახურების არ არსებობის გამო ვერ ხერხდება იმ მეტად საჭირო ინფორმაციის მოპოვება, რაც მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. განყოფილება ყოველწლიურად ადგენს იმ ანგარიშთა გეგმას რომელიც უნდა წარმოადგინოს შესაბამისმა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის სუბიექტმა. დაგეგმილია სტატისტიკური ფორმების ერთიანი ცხრილების შემუშავება და წარდგენა მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად.

განყოფილების ხელშემწყობით 2020 წელს წარმატებით განხორციელდა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირების“ სახელმწიფო პროგრამა . ამასთანავე განყოფილება აქტიურად მონაწილეობდა “აზიური ფაროსანის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების“ პროგრამის გატარებაში. მუნიციპალიტეტის 22 ადმინისტრაციულ ერთეულში აქტიურად ჩატარდა საპრევენციო ღონისძიებები პროგრამით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე.

განყოფილება რეკომენდაციების და წინადადებების მისაღებად სისტემატიურად თანამშრომლობს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამსახურებთან ისეთი პროექტების განხორციელებაში, როგორიცაა „ აწარმოე საქართველოში“ და „დანერგე მომავალი“.

განყოფილება დამატებით ასრულებენ სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილ ისეთ კომისიებში როგორიცაა „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალწლიანი ნარგავების მდგომარეობის და მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი პირველი ხარისხის მერქნული რესურსის მოსახლეობაზე განაწილების შემსწავლელი კომისია (ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N.01-796-01 24 ნოემბერი 2017 წელი),“ ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიისაგან მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისია“(ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება N 01-429-0113 აგვისტო 2018 წელი) ხობის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია, სამსახურის დებულებიდან და უფლება-მოვალეობიდან გამომდინარე სოფლის მეურნეობის

განვითარებისა და სტატისტიკის განყოფილება ასრულებს ყველა იმ საქმიანობას რომელიც ემსახურება აგრარული რეფორმების განხორციელებისთვის ხელშეწყობას მუნიციპალიტეტის ფარგლებში.

2020 წლის 12 თვის განმავლობაში სამსახურის მიერ მომზადდა 14 (თოთხმეტი) პროექტი და წარედგინა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განსახილველად, რომელიც მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა.

სამსახური აქტიურად ჩართულია ხობის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მუშაობაში, რაც გამოიხატება ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარებაზე. 2020 წლის 12 თვის განმავლობაში შემოსულია 246 განცხადება, აქედან განხილულია 112 განცხადება, დაკმაყოფილდა 45 განცხადება და გაიცა საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა, 52 განცხადებაზე მიღებულ იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება, 15 განცხადება დაუბრუნდა საჯარო რეესტრს, ხოლო 134 განხილვის სტადიაშია.

მერიის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს, ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. ამ სფეროში, მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან ძირითადი დატვირთვა ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურზე მოდის.

სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების შემუშავებას, მშენებლობის ნებართვების თაობაზე გადაწყვეტილებების მომზადებას, მშენებლობაზე და არქიტექტურულ საქმიანობაზე ზედამხედველობას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას.

სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, კერძოდ:

2020 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა 5945, 4 ათასი ლარის ღირებულების 11 პროექტი:

1. ქალაქ ხობში ცენტრალური პარკისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მეორე ეტაპის სამუშაოები **1233,4** ათასი ლარი.
2. ხობის მუნიციპალიტეტის შავლელეს ადმინისტრაციული ერთეულის შიდა სასოფლო გზის სარეაბილიტაციო (ასფალტ-ბეტონის) სამუშაოები **598,7** ათასი ლარი.
3. ახალი ხიბულისა და საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები **582,7** ათასი ლარი.
4. ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები **625** ათასი ლარი.
5. შუა ხორგის ადმინისტრაციულ შენობაში საბავშვო ბაღის მოწყობის სამუშაოები **400** ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში კორცხოს უბანში გზის რეაბილიტაცია **733,4** ათასი ლარი.
6. ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეულში შიდა სასოფლო გზის მოწყობის (ცემენტ-ბეტონი) სამუშაოები **368,4** ათასი ლარი.

7. ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წინაგოლაში გზის სარეაბილიტაციო (ასფალტ-ბეტონი) სამუშაოები **526,3** ათასი ლარი.
8. ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საჭოჭოში გზის მოწყობა **263,2** ათასი ლარი.
9. ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საბაჟოში სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოწყობა **381,4** ათასი ლარი.
10. ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლისა და შუა ხორგის ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი გზის (ასფალტ-ბეტონი) მოწყობის სამუშაოები **300** ათასი ლარი.

2020 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით, 12 თვის მდგომარეობით, შესრულებულ იქნა . 2103 ათასი ლარის სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტი კერძოდ:

1. თორსა-დღვანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ოქროს საწმისში სასმელი წყლის ჭაბურღილის შემოკავების სამუშაოები **21,1 ლარი.**
2. ქ. ხობში მშენებარე „საზოგადოებრივი ცენტრი“-ს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები **62,9 ათასი ლარი.**
3. ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეულის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების საბოლოო ეტაპი **18,4 ათასი ლარი.**
4. თორსა-დღვანის ადმინისტრაციული ერთეულის საბავშვო ბაღის საბოლოო ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები **14 ათასი ლარი.**
5. პატარა ფოთის ადმინისტრაციული ერთეულის საბავშვო ბაღის საბოლოო ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები **12,4 ათასი ლარი.**
6. ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულის საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაცია **12,1 ათასი ლარი.**
7. გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაცია **10,4 ათასი ლარი.**
8. ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის N2-ე საბავშვო ბაღის სველი წერტილის რეაბილიტაცია **5,4 ათასი ლარი.**
9. ქ. ხობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის შენობის სახურავის წყალსაწრეტი სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები **9,6 ათასი ლარი.**
10. მერიის ადმინისტრაციული შენობის N401, N407 და N408 ოთახების სარემონტო სამუშაოები **21,6 ათასი ლარი.**

11. 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ მებრძოლთა საფლავებზე ობელისკების (5ცალი) აღმართვის სამუშაოები **16,3 ათასი ლარი.**
12. ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კუთხე ნოჯიხევეში საყანე ფართობებთან მისასვლელი ხიდგობირის რეაბილიტაცია **4,6 ათასი ლარი.**
13. ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნოჯიხევეში შიდა სასოფლო გზების მოწყობის (ცემენტ-ბეტონის) სამუშაოები **29,8 ათასი ლარი.**
14. საგვიჩიოს ცენტრალური სასოფლო გზის დამეწყვილი მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები **34,4 ათასი ლარი.**
15. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის (საკ.კოდი 45.21.05.024) დაზიანებული სახურავისა და ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები **373,2 ათასი ლარი.**
16. ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი პროფტექნიკური სასაწავლებლის ტერიტორიაზე გზის მოწყობა (ასფატ-ბეტონი) **64,9 ათასი ლარი.**
17. ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები **58,8 ათასი ლარი.**
18. ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში (მედეა კობახიძის სახლთან) ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები **16 ათასი ლარი.**
19. ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ შენობის სველი წერტილებისთვის სალექარის მოწყობის სამუშაოები **6,6 ათასი ლარი.**
20. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში სააქტო დარბაზის სარემონტო სამუშაოები (II ეტაპი) **82,5 ათასი ლარი.**
21. ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბულიშში ცხაურის მოწყობა **9,6 ათასი ლარი.**
22. საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გაღმა საჯიჯაოსკენ მიმავალ გზაზე ცხაურის მოწყობა **12,1 ათასი ლარი.**
23. პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში მედეა ნაჭყებიას ქუჩაზე ცხაურის მოწყობა **7,4 ათასი ლარი.**
24. საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გაღმა საჯიჯაოში სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები **114,8 ათასი ლარი.**
25. ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გიმოზგონჯილში ხიდბოგირის რეაბილიტაციის სამუშაოები **9,5 ათასი ლარი.**
26. საჯიჯაოს კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები **97 ათასი ლარი.**
27. საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები **57,5 ათასი ლარი.**
28. ქ. ხობში, ჭიხუს უბანში, N2 სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები **30,5 ათასი ლარი.**

29. ქ. ხობში დათა ხურცილავას სახელობის მინი სპორტული სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები **28,9 ათასი ლარი.**
30. პირველი ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში გარე განათების მოწყობის სამუშაოები **33,5 ათასი ლარი.**
31. საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში გარე განათების მოწყობის სამუშაოები **25,7 ათასი ლარი.**
32. ქ. ხობში, ნინოშვილის ქუჩაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები **11,6 ათასი ლარი.**
33. ქ. ხობის ცენტრში განთავსებული ზურაბ წერეთლის სკულპტურული ნამუშევრის „სიცოცხლის ხე“ და „მზეჭაბუკი“ აღდგენითი სამუშაოები **30 ათასი ლარი.**
34. ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები **41,2 ათასი ლარი.**
35. ადგილობრივი გზების მოვლა-შენახვა - **300 ათასი ლარი.**
36. მინი სტადიონების მოვლა - **17 ათასი ლარი.**
37. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, საინჟინრო კვლევები და ექსპერტიზა-
223,8 ათასი ლარი
38. ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯები - **251,7 ათასი ლარი.**

2020 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებით განხორციელდა 91,7 ათასი ლარის სამუშაოები კერძოდ:

1. ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალი საცალფეხო ხიდის მოწყობის სამუშაოები **336,9 ათასი ლარი.**
2. ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში (ზემო საფარცვანო, ფანცულაია ლევანის სახლთან) გაბიონის მოწყობა გადასასვლელი ფონისთვის სამუშაოები **43,9 ათასი ლარი.**

სკოლების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი თანხებით განხორციელდა 398 ათასი ლარის სამუშაოები

1. ყულევის ადმინისტრაციული ერთეულის საჯარო სკოლის გადახურვის სამუშაოები **105 ათასი ლარი.**

2. საგვიჩიოს ადმინისტრაციული ერთეულის საჯარო სკოლის გადახურვის სამუშაოები **32,7** ათასი ლარი.
3. ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის საჯარო სკოლაში სველი წერტილის მოწყობის სამუშაოები **37,7** ათასი ლარი.
4. ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის N1 საჯარო სკოლის სველი წერტილის მოწყობის სამუშაოები **43,9** ათასი ლარი.
5. ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის N2 საჯარო სკოლის სველი წერტილის მოწყობის სამუშაოები **40** ათასი ლარი.
6. ბიის ადმინისტრაციული ერთეულის საჯარო სკოლის სველი წერტილის მოწყობის სამუშაოები **46,4** ათასი ლარი.
7. ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის N1 საჯარო სკოლის სველი წერტილის რეაბილიტაციის სამუშაოები **11,4** ათასი ლარი.
8. ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის საჯარო სკოლის სველი წერტილის მოწყობის სამუშაოები **69,5** ათასი ლარი.
9. ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეულის საჯარო სკოლის სველი წერტილის რეაბილიტაციის სამუშაოები **14,3** ათასი ლარი.
10. ქარიატას ადმინისტრაციული ერთეულის საჯარო სკოლის სველი წერტილის რეაბილიტაციის სამუშაოები **15,2** ათასი ლარი.
11. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება- **32,2** ათასი ლარი

2020 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 633,7 ათასი ლარის

სამუშაოები, კერძოდ:

1. შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე: ბიის ადმინისტრაციული ერთეული- 2 ობიექტი; ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეული- 1 ობიექტი; პირველი ხორგის ადმინისტრაციული ერთეული- 1 ობიექტი; საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეული- 1 ობიექტი; ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეული- **2 ობიექტი**; ხეთის ადმინისტრაციული ერთეული-2 ობიექტი, სულ (**9 ობიექტი**) **97,9** ათასი ლარი
2. ხიდებისა და ხიდ-ბოგირების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე: საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეული-1 ობიექტი; ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეული-1 ობიექტი; სულ (**2 ობიექტი**) **31** ათასი ლარი.
3. სანიაღვრე არხების ამოწმენდის სამუშაოებზე: თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეული- ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეული-1 ობიექტი; ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეული-2 ობიექტი; ხეთის ადმინისტრაციული ერთეული-1 ობიექტი; სულ (**6 ობიექტი**) **65,2** ათასი ლარი.

4. წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე: ხეთის ადმინისტრაციული ერთეული-1 ობიექტი- **18,5 ათასი ლარი.**
5. სკოლამდელი დაწესებულების რეაბილიტაციაზე - ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეული - 1 ობიექტი; ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეული - 1 ობიექტი; პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული - 1 ობიექტი; თორსა-დღვამის ადმინისტრაციული ერთეული - 1 ობიექტი; ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეული - 1 ობიექტი; საგვიჩოს ადმინისტრაციული ერთეული - 1 ობიექტი; ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეული - 1 ობიექტი სულ **(7 ობიექტი) 123,4 ათასი ლარი.**
6. მოსაცდელელების მოწყობის სამუშაოებზე: ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეული-1 ობიექტი; ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეული-1 სულ **(2 ობიექტი) 21,9 ათასი ლარი.**
7. დასვენების ობიექტებზე: ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეული -1 ობიექტი; ბიის ადმინისტრაციული ერთეული -1 ობიექტი, ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეული -1 ობიექტი; სულ **(3 ობიექტი) 33,3 ათასი ლარი.**
8. სპორტულ ინფრასტრუქტურაზე: შავდელეს ადმინისტრაციული ერთეული-1 ობიექტი; ყულევის ადმინისტრაციული ერთეული - 1 ობიექტი; ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეული-1 ობიექტი **(სულ 3 ობიექტი) 34,8 ათასი ლარი.**
9. ნაპირსამაგრის სამუშაოებზე: ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ახალ ხიბულაში ჭანისწყალზე გადასასვლელი ფონის მოწყობის სამუშაოები - **1 ობიექტი -10,1 ათასი ლარი**
10. გარე განათების მოწყობის სამუშაოებზე: ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეული-1 ობიექტი; გურიფულის ადმინისტრაციული ერთეული - 2 ობიექტი; ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეული-1 ობიექტი; პატარა ფოთის ადმინისტრაციული ერთეული-1 ობიექტი; საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეული-2 ობიექტი, ქარიატის ადმინისტრაციული ერთეული-2 ობიექტი; შუა ხორგის ადმინისტრაციული ერთეული-1 ობიექტი; ხეთის ადმინისტრაციული ერთეული-1 ობიექტი; სულ **(11 ობიექტი) 174,1 ათასი ლარი.**
11. ცხაურების მოწყობის სამუშაოებზე: ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეული -**1 ობიექტი-11,1 ათასი ლარი.**
12. ამბულატორიების შენობებზე: ზემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეული-1 ობიექტი; ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეული-1 ობიექტი; **(სულ 2 ობიექტი) 116,2 ათასი ლარი).**
13. სხვა პროექტები-საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზენში სველი წერტილის მოწყობა - **6,2 ათასი ლარი.**
14. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება- **22,4 ათასი ლარი**

1. სტიქიის პრევენციის, სოფლის მხარდაჭერისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პროგრამების ფარგლებში დარჩენილი ეკონომიებიდან განხორციელდა 54,6 ათასი ლარის სამუშაოები, კერძოდ:

1. პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია **61,8** ათასი ლარი.

ზედამხედველობას უწევდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობებს, კერძოდ, განყოფილების მიერ მომზადებულ და გაცემულ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია მშენებლობის ნებართვაზე - 34 ერთეული, მშენებლობის თანხმობაზე-36, შესაბამისი დოკუმენტაცია მომზადდა ასევე დამთავრებული მშენებლობების ექსპლუატაციაში მიღებაზე - 29 ერთეული, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება - 14 ერთეული, ცვლილება მშენებლობის ნებართვაში ან პროექტში - 3 ერთეული გამოვლინდა 5 არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტი, რის გამოც დამრღვევთა მიმართ გამოყენებულ იქნა კანონით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

გარდა სხვადასხვა პროფილის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული კუთხით მუნიციპალიტეტში განხორციელებული საქმიანობისა და მოსახლეობისთვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა, არანაკლები ყურადღება ეთმობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტისა და ძეგლთა დაცვის ღონისძიებებს, რასაც მერია კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მეშვეობით ახორციელებს.

კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროზე საუბრისას აუცილებელია აღვნიშნოთ ის მთავარი ნიუანსი, რაზედაც ადგილობრივი ხელისუფლება აკეთებს მთავარ აქცენტს. ნებისმიერ სფეროში და განსაკუთრებით კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროში პრიორიტეტად შერჩეულ იქნა ინფრასტრუქტურის მოწყობა, რათა ამ სფეროში მოღვაწე მოქალაქეებს, ახალგაზრდობას, ბავშვებს მიეცეს საშუალება უფრო მეტად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები.

მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიასა და კონტრაქტორ კომპანიას შპს „გ.ტრანსს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობაზე ახორციელებდა კონტროლს.

10-16 თებერვალი -ჩატარდა დათა ხურცილავას სახელობის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში.

3-8 აგვისტოს სოფელ ხეთაში ჩატარდა გოგა ჭითანავასა და ლევან ტურავას სახელობის ტურნირი მინი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა ასევე 8 გუნდი და ემსახურებოდა 2008 წლის ომის დროს დაღუპული ხეთელი ახალგაზრდების ხსოვნას.

28 აგვისტო- ჩატარდა ხობის კოლხეთი-2 ახალგაზრდა ფეხბურთელის, ტრაგიკულად დაღუპული ნუტი ლემონჯავას სახელობის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა მუნიციპალიტეტის 6 გუნდი ფინანსური მხარდაჭერა გასწია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულმა ორგანიზაციამ.

სექტემბერ- ოქტომბრის თვეში- ფეხბურთში გაიმართა მოყვარულ ფეხბურთელთა რეგიონული პირველობა, სადაც ჩვენი მუნიციპალიტეტის ხობის, ხეთისა და ხამისქურის 3

გუნდი იღებდა მონაწილეობას.

18 სექტემბერს სტარტი აიღო ხობის მუნიციპალიტეტის პირველობამ ფეხბურთში- 7X7, რომლის ფინანსური მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია; 7X7 ფეხბურთის ასოციაცია. მუნიციპალიტეტის გამარჯვებული გახდა ხობის გუნდი, რომელმაც ნოემბრის თვეში მარტვილის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ რეგიონულ პირველობაზე იასპარეზა და მოიპოვა დასავლეთ საქართველოს პირველობის საგზური.

7 ნოემბერი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს , „სპორტი ყველასათვის“ ფედერაციის, ევროპარლამენტის კომისიის მხარდაჭერითა და ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთობლივი მუშაობით ჩატარდა შეჯიბრებები მძლეოსნობასა(სირბილი სხვადასხვა დისტანციებზე) და მინიფეხბურთში(ჭაბუკებსა და გოგონებში).

ავგისტოში ცოტნეობის დღესასწაულზე ჩატარდა კონფერენცია მეცნიერების, რევაზ პაპუაშვილისა და იგორ კეკელიას მონაწილეობით.

ავგისტო-სექტემბერში გაგრძელდა არქეოლოგიური სამუშაოები სოფელ პირველ მასში „მაჩხომერის“ არქეოლოგიურ ძეგლზე.

ეთნოგრაფ გივი ქარჩავასთან ერთად შავი ზღვისა და მდინარეების ბინადართა მეგრულ სახელწოდებების დადგენის მიზნით შევხვედრა შედგა ყულეველ და ხობელ მებადურებთან. მასალები გამოქვეყნდა მეგრულენოვან ჟურნალში „სქანი“.

ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობის მიზნით, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის“ მხარდაჭერით, ახალგაზრდულ გაერთიანებასთან ერთად დაგეგმა ინტელექტუალური პროექტი „რა? სად? როდის?“.

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესწავლას, სოციალური და ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას და შესაძლებლობის ფარგლებში, მათთვის სათანადო დახმარების გაწევას. ამ კუთხით, მერია თავის უფლებამოსილებას ახორციელებს შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის მეშვეობით.

მუნიციპალიტეტში ერთიანი სოციალური და ჯანდაცვის დახმარების მუნიციპალური პროგრამა, 2020 წელს 546840 ლარით დამტკიცდა, აქედან სოციალური პაკეტი 507600 ლარით, ხოლო ჯანდაცვის მუნიციპალური პაკეტი 39240 ლარით. პროგრამებში ცვლილებების შეტანა გათვალისწინებული იყო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცვლილებების შეასაბამისად და წლის ბოლოსთვის გაიზარდა სოციალური პაკეტი 43873 ლარით და გახდა 551473 ლარი.

სოციალურ პაკეტში გათვალისწინებულია, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უმწეო კატეგორიაზე, გახარჯული წყლის გადასახადის დაფარვა, სოციალური სააგენტოდან მიღებული უმწეო ოჯახების სიების მიხედვით.

ყოველ პირველ - მეორე ახალშობილზე გაიცემა 100 ლარი, ხოლო ყოველ მე-3 მე-4 და მე-5 ახალშობილზე 300 ლარი, ხოლო მე-6 და ზევით 600 ლარი.

დიალიზზე მყოფ ავადმყოფებს ყოველთვიურად ერიცხებათ 100 ლარი, პირად ანგარიშზე ტრანსპორტირების თანხა.

2020 წელს სოციალური პაკეტიდან ერთჯერად ფულად დახმარებებზე გათვალისწინებული იყო 35000 ლარი, წლის განმავლობაში შემოსული იყო კომისიაში ასეთ დახმარებებზე 700 - მდე მოქალაქეთა განცხადება, რომელიც შესწავლილ იქნა კომისიურად და 350 მთხოვნელზე გაიცა 35000 ლარის ფულადი დახმარება.

საოპერაციო დახმარებებზე გამოყოფილი იყო 160000 ლარი, სულ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსული იყო საოპერაციო დახმარებაზე 230 ავადმყოფის განცხადება, კომისიური განხილვის შედეგად დაკმაყოფილდა 228 განცხადება და გაიცა 135250 ლარის საგარანტიო წერილი.

წლის განმავლობაში ახალშობილთა დახმარებაზე პროგრამით გათვალისწინებული იყო 350 ახალშობილის დახმარება თანხით 39000 ლარი. 202 ახალშობილზე გადაირიცხა 34600 ლარი, აქედან 130 პირველ, მეორე ბავშვზე 13000 ლარი, ხოლო მე-3 და ზევით 72 გაიცა 21600 ლარი.

წლის განმავლობაში დაიბადა 202 ახალშობილი.

პროგრამით გათვალისწინებულ მრავალშვილიანთა დახმარებაზე 4 და მეტი ბავშვი 18 წლამდე სარვამარტოდ (72 ოჯახი) ბიუჯეტიდან დაფინანსდა 10800 ლარით.

უმწეოთა სასადილო ტენდერის გამოცხადების შედეგად დაფინანსდა 74406 ლარით, სადაც იკვებება დღეში 1-ჯერ 135-მდე უმწეო.

სარვამარტოდ ასევე დაფინანსდა 100 წელს გადაცილებული 4 ბევეფიციარი და თითოეულს ანგარიშზე ჩაერიცხა 150 ლარი.

უმწეო კატეგორიის მოსახლეობისათვის პროგრამით გათვალისწინებული იყო წყლის საფასურის სუბსიდირება 10000 ლარის ოდენობით, რომელიც ყოველთვიურად ირიცხებოდა. ჩაირიცხა 5184 ლარი 100 ბენეფიციარზე.

სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება, რომელთა სახლის სახურავი იყო ავარიული ან აწვიმდა ალაგ-ალაგ და საჭიროებდა ნაწილობრივ ან მთლიან შეკეთებას, სულ გამოიყო 61951 ლარი, 27 სოციალურად დაუცველ ოჯახს ადგილზე გადაეცა საჭირო მასალა.

0-18 წლამდე ბავშვების სამედიცინო სარეაბილიტაციო დახმარებაზე პროგრამით გამოიყო 2020 წელს 7000 ლარი. ისარგებლა 15 ბავშვმა და გაიცა საგარანტიო წერილი 6783 ლარის თანადაფინანსებაზე.

აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებზე წელიწადში ორჯერ დაგეგმილია ერთჯერადი დახმარება, ასეთი 2 ბავშვია დარეგისტრირებული, რომელიც არის განსაკუთრებული საჭიროების მქონე და მათ 2020 წელს გაეწიათ 1200 ლარის დახმარება.

დიალიზზე მყოფი მოქალაქეთათვის სატრანსპორტო ხარჯზე გამოიყო 18000 ლარი. 15 ავადმყოფს პირად ანგარიშზე ერიცხებოდა ყოველთვიურად 100-100 ლარი. სულ წლის განმავლობაში გადაირიცხა 16700 ლარი.

დევნილის და ვეტერანთა დაკრძალვაზე სულ გამოიყო 4500 ლარი. გარდაიცვალა 14 დევნილი და დაფინანსდა 2800 ლარით.

აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახებზე, სულ ასეთ 11 ოჯახზე გაიცა ერთჯერადი თანხა, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით 2200 ლარი, თითოეულ ოჯახზე 200-200 ლარი.

ზაგვისტოს ომში დაღუპულ 7 ოჯახი გაიცა 1400 ლარი.

ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილე 14 პირზე გაიცა ერთჯერადად 1400 ლარი.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად შ.შ.მ. პირთათვის გამოიყო 1400 ლარი, სულ ასეთი პირი არის 7 და გაიცა თითოეულზე 200 ლარი ერთჯერადად.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 3433-მდე იძულებით გადაადგილებული პირი. მათ შორის 1042 კომპაქტურადაა ჩასახლებული, ხოლო 2391 კერძო სექტორში ცხოვრობს. მათ ერთჯერადი და საოპერაციო და სხვა პროგრამით გათვალისწინებული

დახმარებები ეძლევათ, ისევე როგორც ეს არის ადგილობრივი მოსახლეობისათვის გათვალისწინებული.

ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად საანგარიშო წელს გამოიყო 30000 ლარი კომისიური განხილვის შედეგად დახმარება გაეწია 7 დაზარალებულ ოჯახს, სულ 19989 ლარი.

სამამულო ომის 1 ვეტერანს 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით ჩაერიცხა 500 ლარი.

შ.შ.მ. პირთა გეგმიური მაღალტექნოლოგიურ გამოკვლევების თანადაფინანსებაზე ერთჯერადად გამოიყო 6449 ლარი, ისარგებლა 9 პაციენტმა და გაიცა 2375 ლარის საგარანტიო წერილი.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლზე გამოყოფილი იყო პროგრამით ერთჯერადი დახმარების თანხა 2600 ლარი, აღნიშნულზე არცერთ ძალადობის მსხვერპლს არ მოუმართავს, შესაბამისად თანხა არ გახარჯულა.

უსახლკაროდ დარჩენილთათვის, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველები და საჭიროებენ თავშესაფარში განთავსებას, სათანადო საბუთების ჩაბარების შემდეგ გამოეყოფათ ბინის ქირა, განთავსებამდე, ყოველთვიურად 100 ლარამდე ოდენობით, ასეთი არის ერთი ბენეფიციარი და ყოველთვიურად ერიცხებოდა 100 ლარი თავშესაფარში განთავსებამდე, სულ ჩაირიცხა 800 ლარი.

2019 წელს ამოქმედდა 0-18 წლამდე შ.შ.მ. პირთა დღის ცენტრის თანადაფინანსება, კომუნალური ხარჯების დასაფარად, რომელიც დაფუძნდა აგვისტოს თვეში, გრანტი მოიპოვა არასამთავრობო ორგანიზაციამ „თოლისქური“-მა, 2020 წელს ცენტრმა სრული დატვირთვით ვერ იმუშავა ცენტრმა კოვიდ-19 ინფექციის გამო. ჩაირიცხა კომუნალური ხარჯები 7400 ლარი. 20-მდე წინასწარ შერჩეული შშმ ბავშვი სარგებლობს ამ ცენტრით, რომელსაც ემსახურებიან გადამზადებული სპეციალისტები.

2020 წლის იანვარ-აპრილში განხორციელდა 2003 წელს დაბადებულ მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, რომელთაც სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისას შეუსრულდათ 17 წელი.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან გამოთხოვილ იქნა მათთან მომუშავე (მოსწავლე) 2003 წელს დაბადებულ ჭაბუკთა სახელობითი სიები. პირველად სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვან 2003 წელს დაბადებულ ჭაბუკთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 168 ჭაბუკი.

მიმდინარე წლის 30 აპრილს დასრულდა 2003 წელს დაბადებული ჭაბუკების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა. აღრიცხვაზე აყვანილია 147 ჭაბუკი, გამოცხადებულთაგან ამოღებულ იქნა საერთო სიიდან (გადაგზავნილ იქნა სხვა მუნიციპალიტეტში 6 ჭაბუკის პირადი საქმე). არ გამოცხადდა 15 ჭაბუკი, აქედან 10 საპატიო მიზეზით და 5 არა საპატიო მიზეზით.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით 2020 წელს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნენ 18 დან 27 წლამდე ასაკის ის მოქალაქეები, რომლებსაც არა აქვთ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების, ან მისი გადავადების უფლება.

2020 წელს საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევაზე გაწვეულია 39 წვევამდელი. მათ შორის:

-საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში გაწვეულია 16 წვევამდელი.

-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ დანაყოფებში გაწვეულია 23 წვევამდელი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში გაწვეულია 4 წვევამდელი.

ზღვრული ასაკის შესრულების გამო მეორე თანრიგის რეზერვში ჩაირიცხა 103 წვევამდელი. კანონით დადგენილი შეღავათი გაუფორმდა 331 წვევამდელს. მათ შორის:

მუხლი:30 „გ“-სტუდენტი-77 წვევამდელს.

30 „ე“-სკოლის მოსწავლე-70 წვევამდელს.

30 „ზ“-ჰყავს ორი შვილი-5 წვევამდელს.

30 „ლ“-მღვდელმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში-52 წვევამდელს.

30 „მ“-დედისერთა-15 წვევამდელს.

30 „პ“-ჰყავს ერთი შვილი, შვილის შეძენის დღიდან 3 წლის ვადით-5 წვევამდელს.

30 „გვ“-არის პროფესიული სტუდენტი- 6 წვევამდელს.

30 „დ“- გადაიხადა მოსაკრებელი- 1 წვევამდელს.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო 1 წლამდე ვადით გადავადება მიეცა 25 წვევამდელს.

-სამხედრო სამსახურისათვის შეზღუდულად ვარგისად ცნობილ იქნა 75 წვევამდელი.

-გათავისუფლებულია გაწვევისაგან (29-ე მუხლი) 7 წვევამდელი

-გაიგზავნა გამოკვლევაზე 5 წვევამდელი.

გასულია საქართველოს საზღვრებს გარეთ 150 წვევამდელი.

2020 წელს სამსახურის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 191 რეზერვისტი. სხვადასხვა მიზეზების გამო სამხედრო აღრიცხვიდან მოიხსნა 90 რეზერვისტი. შინაგან საქმეთა სამმართველოდან და სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მიღებული მომართვების საფუძველზე სპეციალურ აღრიცხვაზე გადაყვანილია 41 რეზერვისტი. ზღვრული ასაკის გამო აღრიცხვიდან მოიხსნა 9 რეზერვისტი. გარდაიცვალა 15 რეზერვისტი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალებიდან მიღებული მომართვების საფუძველზე, საქართველოს თავდაცვის ძალებში გაწვეულია 25 რეზერვისტი და 3 წვევამდელი.

2020 წელს გაცემულია 78 საქართველოს რეზერვისტის დროებითი მოწმობა.

გოჩა ქაჯაია

ხოზის მუნიციპალიტეტის მერი

2020 წელი

